ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში'' (მისამართი ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშრებით.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' და ,,კ'' ქვეპუნქტებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) პროექტებს. (იხ.სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ვებ-გვერდი www.ajaratv.ge). ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე აღნიშნულ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

პრორამული პრიორიტეტების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლით წერილობით წარმოადგინოთ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ში. (მის: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. N41) ოცი დღის განმავლობაში. (2017 წლის 15 ივნისიდან 05 ივლისის ჩათვლით).

პირი უფლებამოსიალია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს სხდომა (ზეპირი მოსმენა) ჩატარდება არაუგვიანეს 2017 წლის 07 ივლისს, რომლის თაობაზეც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭო 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) განსაზღვრის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართელბრივ აქტს გამოსცემს აღნიშნული სხდომის ჩატარებიდან/დასრულებიდან 10 დღის ვადაში.